ტექსტი ქართული ენის გრამატიკაში

1. **რომელია სწორი?**

   ა) ხუთი ათას ცხრაასორმოცდაათი

   ბ) ხუთიათას ცხრაასორმოცდაათი

   გ) ხუთი ათას ცხრაას ორმოცდაათი

   დ) ხუთიათას ცხრაას ორმოცდაათი.

2. **რომელია სწორი?**

   ა) მე-60 ბ) მე-60-ე გ) 13-ე დ) მე-23

3. **რომელია სწორი?**

   ა) ორკილო-ნახევარი

   ბ) ორ კილონახევარი

   გ) ორ-კილონახევარი

   დ) ორკილონახევარი

4. **რომელია სწორი?**

   ა) სდგას ბ) სჩანს გ) სწყევლის დ) სძულს

5. **რომელია სწორი?**

   ა) იმედ-გაცრუებული

   ბ) იმედ გაცრუებული

   გ) იმედგაცრუებული

   დ) იმედგაცრუვებული

6. **რომელია სწორი?**

   ა) ვუგულებელვყოფ

   ბ) უგულებელვყოფ

   გ) ვუგულებელყოფ

დ) უგულებელვჰყოფ

7. **რომელია სწორი?**

ა) ლია ჩემსკენ გამოიქცა.

ბ) გიორგი ჩემკენ მოდიოდა.

გ) ჩვენსკენ ახალი არაფერია.

დ) ბურთი შენსკენ გამოგორდა.

8. **რომელია სწორი?**

ა) მე ვუთანაგრძნობ

ბ) მე თანაუგრძნობ

გ) მე თანავუგრძნობ

დ) მე უთანაგრძნობ

9. **რომელია <u>არასწორი</u>?**

ა) ბზინავს ბ) ზნიქავს გ) ჭიმავს დ) თიბავს

10. **რომელია <u>არასწორი</u>?**

ა) სხვადასხვა

ბ) ბოლოს და ბოლოს

გ) გზადაგზა

დ) მაინც და მაინც

11. **რომელია სწორი?**

ა) ეთერიმ ბ) ვალერიმ გ) მურთაზიმ დ) თამაზიმ

12. **რომელია სწორი?**

ა) ჩამი-ჩუმი ბ) ასავალ-დასავალი გ) არე-მარე დ) აყალ-მაყალი

13. **რომელია სწორი?**

ა) ჩემ და შენ შორის

ბ) მე და შენს შორის

გ) ჩემს და შენს შორის

დ) მე და შენ შორის

14. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) გაზეთებში სულ ერთი და იგივე ადამიანების სახელებია.

ბ) მზიას ერთი და იმავე კაბის ჩაცმა მობეზრდა.

გ) ლუარსაბი ერთისა და იგივე დანაშაულის გამო დააპატიმრეს.

დ) ამ საქმეში ერთ და იმავე კაცის ხელი ურევია.

15. რომელია სწორი?

ა) ოთარ ჭილაძის რომან „გოდოლში“.

ბ) ოთარ ჭილაძის რომანში „გოდოლში“.

გ) ოთარ ჭილაძის რომან „გოდოლში“-ში

დ) ოთარ ჭილაძის რომანში „გოდოლი“.

16. რომელია <u>არასწორი</u>?

ა) სამარხვო ბ) უთავო გ) უქვევო დ) უმოძრავო

17. რომელია სწორი?

ა) ბალიშშითავჩარგული

ბ) თავად-აზნაურული

გ) მაღალ ქუსლიანი

დ) წაწვეტებულსახურავიანი

18. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) ძნელად საცოდნელია ეს ლექსი.

ბ) ამ კაცთან ნაჩხუბი ვარ.

გ) გამოშრობილ ფიცრებს ვეძებდი იატაკისთვის.

დ) ის ბიჭი ნასამართლები არ არის.

19. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) გამომცემლობამ ასზე მეტი წიგნი გამოცა.

ბ) ჩემს შვილს ცხრა საათზე სძინავს.

გ) გაზაფხულზე ხეები ლამაზად ყვავის.

დ) ფოთლები ქარდაქარ მიქრიან.

20. რომელი წინადადებაშია შეცდომა?

ა) ამ პროექტით არქიტექტორი ახორციელებს ახალ იდეას.

ბ) მსახიობი კარგად ანსახიერებს როლს.

გ) ბიბლიოთეკარი აცალკევებს ძველ და ახალ წიგნებს.

დ) მეცნიერი ნაშრომში ავითარებს საინტერესო იდეას.

21. რომელია სწორი?

ა) დემონსტრაციული

ბ) ექსპერიმენტალური

გ) ფუნდამენტალური

დ) დიამეტრალური

22. რომელი <u>არ არის</u> სწორი?

ა) მადლობა გადაუხადა.

ბ) მადლობა მოუხადა.

გ) ბოდიში მოუხადა.

დ) მოუბოდიშა.

23. რომელია სწორი?

ა) რეიხსტაგი ბ) ვარანცოვი გ) სურპრიზი დ) მანიკიური

24. რომელია სწორი?

ა) დაუხატივარ ბ) დაუხატნივარ გ) დავუხატივარ დ) დავუხატნივარ

25. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) ჩვენ თავს რაღაც დიდი განსაცდელია.

ბ) ჩემ გაკეთებულ საქმეს წუნს ვერ დასდებენ.

გ) ჩემს გვერდით ბევრი ერთგული ადამიანია.

დ) ჩვენს შესახებ გაზეთებში წერდნენ.

26. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) გიორგი V-ემ იავარქმნილი საქართველო ფეხზე დააყენა.

ბ) გიორგი V-მ იავარქმნილი საქართველო ფეხზე დააყენა.

გ) გიორგი მე-V-მ იავარქმნილი საქართველო ფეხზე დააყენა.

დ) გიორგი მე-V იავარქმნილი საქართველო ფეხზე დააყენა.

27. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) ყველა მათთაგანი ფიცს დებდა.

ბ) არც ერთი ჩვენგანი პირობას არ დაარღვევს.

გ) თითოეული ჩვენთაგანი გრძნობს პასუხისმგებლობას.

დ) ბევრი მათთაგანი ანგარიშს არავის უწევდა.

28. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) უცბად თეთრ ცხენზე ამხედრებული უცნობი გამოჩნდა.

ბ) დიდებულად დახვდა დედაქალაქი სტუმრებს.

გ) უნებლიედ წამოსცდა საიდუმლო.

დ) ადვილად არ დათმობს პირველობას შარშანდელი ჩემპიონი.

29. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) მთელ დღეს შეუსვენებლად ვმღერივარ.

ბ) არქეოლოგებს უჩვეულო ექსპონატი უნახიათ.

გ) და-ძმას ცეცხლი უკვე გაეჩაღებია.

დ) დილიდან ვტირი დაკარგული ბეჭდის გამო.

30. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) მოხუცი ცოლ-ქმარი ბუხართან იჯდა.

ბ) გაჭირვებაში ჩაცვენილი ადამიანები შველას ითხოვდნენ.

გ) გიამ გადაგდებული წიგნები მოაგროვა და გადაარჩია.

დ) ჩამოვარდნილი ფოთლები მეეზოვეს ერთად შეეგროვებინა.

31. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) მაშინვე მოვახსენე, გიორგი აღარ მოვა-თქო.

ბ) გავაგებინე, მეფის ამალა მოდის-მეთქი.

გ) ვუთხარი, არაფერზე ინერვიულოო.

დ) გადავუჩურჩულე, არაფერი შეიმჩნიო-თქვა.

32. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) ყველა მხოლოდ შვილებზე ფიქრობდნენ.

ბ) ზოგიერთები მალულად მიიპარებოდა.

გ) ჩემი დედ-მამა გუშინ ჩამოვიდნენ.

დ) ჩემი და და ძმა უნივერსიტეტში სწავლობენ.

33. რომელ წინადადებაში <u>არ არის</u> შეცდომა?

ა) უბედურია ის ადამიანი, ვინც ცხოვრება უშინაარსოდ გაატარა.

ბ) უბედურია ის, ვინც ცხოვრება უშინაარსოდ გაატარა.

გ) უბედურია ის, რომელმაც ცხოვრება უშინაარსოდ გაატარა.

დ) ადამიანი, ვინც ცხოვრებას უშინაარსოდ გაატარებს, უბედურია.

34. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) გიო და ნიკა, რომლებიც ახლოს ცხოვრობდნენ, მეგობრები იყვნენ.

ბ) ყველა ადამიანს აქვს თვისებები, რომელიც მას ღირსებას მატებს.

გ) ხალხი, რომელიც ახალგაზრდის დასჯას ითხოვდა, სასტიკი და დაუნდობელი იყო.

დ) ფრინველები, რომლებიც შემოდგომაზე გაფრინდნენ, ახლა უკან ბრუნდებოდნენ.

35. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) თავადები შვილებს გლეხებს აზრდევინებდნენ, რადგან ცხოვრება ესწავლათ.

ბ) მირანდა გახარებული იყო, რადგან მაღალი შეფასება დაიმსახურა.

გ) ნინოს გული გაუტყდა, რადგანაც მიზანს ვერ მიაღწია.

დ) გიორგი პაატასთან გაიქცა, რადგან სახლში არ დაედგომებოდა.

36. სიტყვათა მყარი შეხამება *<u>გუნდრუკს უკმევს</u>* ნიშნავს:

ა) ნერვებს უშლის გ) აქებს, ადიდებს

ბ) არაფრად აგდებს დ) ნათლავს.

37. სიტყვათა მყარი შეხამება *<u>განტევების ვაცი</u>* ნიშნავს:

ა) მოღალატეს, გამცემს

ბ) სხვის მაგივრად პასუხისმგებელს

გ) უყურადღებოდ დატოვებულს

დ) ტანჯულ ადამინს

38. სიტყვათა მყარი შეხამება *<u>თვალს მოატყუებს</u>* ნიშნავს:

ა) არ დაიჯერებს ბ) დაიძინებს გ) გამოფხიზლდება დ) ითვალთმაქცებს.

39. სიტყვათა მყარი შეხამება *<u>სიზიფეს შრომა</u>* ნიშნავს:

ა) ჭეშმარიტების ძიებას

ბ) ფუჭ, უნაყოფო შრომას

გ) ნაყოფიერ შრომას

დ) რთული მდგომარეობიდან თავის დაღწევას.

40. სიტყვათა მყარი შეხამება *<u>ხელს აძლევს</u>* ნიშნავს:

ა) სასარგებლოა

ბ) საინტერესოა

გ) ესალმება

დ) ემეგობრება

41. სიტყვათა მყარი შეხამება *<u>სიტყვის ბანზე აგდება</u>* ნიშნავს:

ა) პირდაპირი პასუხისათვის თავის აცილებას.

ბ) თვალის დახუჭვას სხვის ცუდ საქციელზე.

გ) სიმღერაში აყოლაზე უარის თქმას.

დ) უთავბოლო ლაპარაკს.

42. ჩამოთვლილთაგან რომელ სიტყვებს შორის არის გვარეობრივ-სახეობრივი მიმართება?

ა) აღქმა - აღქთმა

ბ) ბიჭი - სპორტსმენი

გ) ქვეწარმავალი - ნიანგი

დ) კეთილი - ბოროტი

43. რომელი არ არის სიტყვა *<u>დარდის</u>* სინონიმი?

ა) ურვა ბ) სამსალა გ) ჭმუნვა დ) კაეშანი

44. რომელი არ არის სიტყვა *<u>თავხედის</u>* სინონიმი?

ა) თავაგდებული ბ) თავგასული გ) თავგადაკლული დ) უტიფარი

45. რომელი არ არის სიტყვა *<u>უიღბლოს</u>* სინონიმი?

ა) ბედკრული ბ) ბედდანავსული გ) ბედდაკარგული დ) ბედსვიანი

46. რომელი არ არის სიტყვა *<u>უგერგილოს</u>* სინონიმი?

ა) უნიათო ბ) დონდლო გ) ჩაუქი დ) დაბდური

47. რომელია სწორი შესიტყვება?

ა) პასუხისმგებლობა მიენიჭა

ბ) უფლება მიენიჭა

გ) უფლება დაეკისრა

დ) პასუხისმგებლობა მიეცა

48. *<u>გოდოლი</u>* არის:

ა) მძიმე ტვირთი

ბ) წნელის მაღალი ჭურჭელი

გ) მაღალი კოშკი

დ) მაღალი მთა

49. *<u>თრთვილი</u>* არის:

ა) შეყინული ცვარი

ბ) გამდნარი ყინული

გ) მშრალი თოვლი

დ) სველი თოვლი

50. *<u>გრუზა</u>* შეიძლება იყოს:

ა) თმა ბ) ტვირთი გ) ფიქრები დ) ტყე

51. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) კატო და ვანო ბაღიდან დროზე ადრე გამოიყვანეს.

ბ) მიხომ ხიდან შურდული გამოთალა.

გ) მოასფალტებულ გზაზე ტყის ბილიკებიდან გადიან.

დ) ლევანმა იცოდა, რომ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდოდა.

52. რომელ წინადადებაშია შეცდომა?

ა) თბილისობაზე სხვადასხვა ღონისიებებია დაგეგმილი.

ბ) ბიბლიოთეკაში არაერთი უნიკალური წიგნია შენახული.

გ) გიორგი ყველა ბავშვისაგან გამოირჩევა ნიჭიერებით.

დ) მუზეუმში ბევრი ახალი ექსპონატი მოიტანეს.

53. რომელ წინადადებაშია სტილისტური ხარვეზი?

ა) ახალწვეულები გარემონტებულ შენობაში შეიყვანეს.

ბ) გუშინ არქეოლოგების მიერ აღმოჩენილ იქნა ახალი სამარხი.

გ) ჟურნალისტები აქტუალურ პრობლემებზე ალაპარაკდნენ.

დ) პროფესორმა ზედგენიძემ საკუთარი აღმოჩენის შესახებ ისაუბრა.

54. რომელ წინადადებაშია სტილისტური ხარვეზი?

ა) ეგვიპტეში ახალი პრეზიდენტის წინააღმდეგ მასობრივი გამოსვლები დაიწყო.

ბ) საფრანგეთში მცხოვრებმა ქართველმა ემიგრანტებმა ლევილში მიწა შეისყიდეს.

გ) მსახიობი ახალ ამპულაში თავს კომფორტულად გრძნობდა.

დ) საფრანგეთის ნაკრების მეკარემ ხიზანიშვილის პენალტი მოიგერია.

55. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?

ა) გუშინ მე-11 კვადრატში ადგილი ჰქონდა ყაჩაღობის მცდელობას.

ბ) ახალგახსნილ მაღაზიაში აწარმოებენ საქონლის აღრიცხვას.

გ) ტელევიზიის ანძას მალე დასჭირდება აღდგენითი სამუშაოები.

დ) ერთი კვირის განმავლობაში გაყიდვაში იქნება საქონელი ფასდაკლებით.

56. რომელი წინადადებაა სტილისტურად გამართული?

ა) ახალგაზრდა ბიჭმა ქუჩა გადმოჭრა.

ბ) დაღლილი მოხუცი ხელჯოხს დაეყრდნო.

გ) შერცხვენილი მეზობელი კარისაკენ გაილურსა.

დ) თეას თავისი კაბა საშინლად მოსწონდა.

57. რომელი სასვენი ნიშანია გამოტოვებული შემდეგ წინადადებაში: *დიდი თუ პატარა, მოხუცი თუ ახალგაზრდა ყველა მოედანზე შეიკრიბა.*

ა) ორწერტილი ბ) ტირე გ) წერტილ-მძიმე დ) მძიმე

58. რომელი სასვენი ნიშანია გამოტოვებული შემდეგ წინადადებაში: *ყველაფერი წარსულში დარჩა სილამაზე, სილაღე და ახალგაზრდობა.*

ა) ორწერტილი ბ) მძიმე გ) ტირე დ) წერტილ-მძიმე.

59. რომელ წინადადებაშია გამოტოვებული მძიმეები?

ა) ექიმი, გვარად ნამორაძე, პაციენტებს იღებს 15 საათიდან.

ბ) როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხვალ, საღამოს 6 საათზე, გაიმართება საზეიმო სხდომა.

გ) გიორგი რა თქმა უნდა გრძნობდა, როგორ ეცვლებოდა მეგობარს იერი, ფერი.

დ) მომისმინეთ, მეგობრებო, დრო არ ითმენს, გვაგვიანდება!

60. რომელი სასვენი ნიშანი დაისმის შემდეგი წინადადების ბოლოს: *რა ლამაზად იღვიძებს მიძინებული ბუნება*

ა) კითხვის ნიშანი

ბ) კითხვა-ძახილის ნიშანი

გ) ძახილის ნიშანი

დ) წერტილი.

შეფასების სქემა

დავალების ნომერი	სწორი პასუხი
1.	გ
2.	ა
3.	ა
4.	დ
5.	გ
6.	ბ

7.	ზ
8.	გ
9.	ზ
10.	დ
11.	ზ
12.	ზ
13.	დ
14.	ზ
15.	ა
16.	დ
17.	დ
18.	ა
19.	ა
20.	ზ
21.	ა
22.	ზ
23.	დ
24.	გ
25.	ზ
26.	ზ
27.	ზ
28.	გ
29.	დ
30.	ზ
31.	ზ
32.	დ
33.	ზ
34.	ზ
35.	ა
36.	გ
37.	ზ
38.	ზ
39.	ზ
40.	ა
41.	ა
42.	გ
43.	ზ
44.	გ
45.	დ
46.	გ
47.	ზ
48.	გ
49.	ა

50.	ა
51.	ბ
52.	ა
53.	ბ
54.	გ
55.	გ
56.	ბ
57.	ბ
58.	ა
59.	გ
60.	გ